# საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი (№07–1/367, 20.10.2006) ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 16 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

**პავლე კუბლაშვილი** – საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე)

**ლევან ბეჟაშვილი** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

**გიორგი ბოკერია** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**ნიკა გვარამია** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**ზურაბ დეკანოიძე** – საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილე

**თამაზ დიასამიძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**მურმან დუმბაძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

**პეტრე ზამბახიძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

**ლალი ზაქარაძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

**ნინო კალანდაძე** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**მამუკა კაციტაძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**ოთარ ღორჯომელაძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**გიორგი ცაგარეიშვილი** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**კობა ხაბაზი** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**გია ხუბუა** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

**გია ხუროშვილი** – საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პარლამენტის**
**თავმჯდომარის მოადგილე მ. მაჭავარიანი**
**თბილისი,**
**2006 წლის 24 ოქტომბერი.**
**№3575–IIს**

**შეცდომის გასწორება:** სსმ III, №152, 13.11.2006 წ., გვ.22